# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 622

25 ნოემბერი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს" შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-308-26-19647 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის $127^2$ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს" შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-308-26-19647 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 9 ნოემბრის №22.1722.1859 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს" (ს/კ. 405147755) შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-308-26-19647 ხელშეკრულებაში და ჩატარებული აუქციონის განსაკუთრებული პირობების „ბ" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრისა განახორციელოს არანაკლებ 80 (ოთხმოცი) ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, რომლის განაშენიანების ფართი, გარდა ტექნიკური/დამხმარე ფართისა, უნდა იყოს არაუმეტეს 20 000 (ოცი ათასი) კვ.მ.".

2. წინამდებარე განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე